№ 64 მარტი 28, კვირა 1893 მარტი 28, კვირა № 64

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ქვევლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 ქ რ ი ს ტ ე ა ღ ს დ გ ა ! 1877—1893

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს 2 აპრილს.

---

**ეფემია ნიკოლოზის ასული წილოსნისა, მელანია გიორგის ასული წილოსანისა, მარიამ იოსების ასული ცისკარაშვილისა, ნატალია იოსების ასული ფორაქაშვილისა და გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი—შვილისა, მეორე—ქმრისა, მესამე და მეოთხე—ძმისა და მეხუთე—სიძისა პოლკოვნიკ **ნიკოლოზ იოსების ძის წილოსანისა** და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზედ ოთხშაბათს, 31 მარტს, დილის 10 საათზედ. მიცვალებულს გამოასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიაში საკუთარის სახლიდამ, რომელიც იმყოფება ვერაზედ, ოლგას ქუჩაზედ, № 44. პანაშვიდი იქნება სამშაბათს, 30 მარტს, საღამოს 7 საათზედ.

---

## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე, ფასი 8 მან. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

---

II

ტ ო მ ი

**აკაკი წერეთლის**

თხზულებათა

გამოცემა „ქართველთა ამხანაგობისა“

ხუთშაბათს, 25 მარტს, გარდაეცემა გასასყიდად „ქართველთა ამხანაგობის“ მაღაზიას.

ფასი 1 მანეთი.

აგენტებს გაეგზავნება კვირაცხოვლის კვირაში. (3—2)

---

სააღდგომო

მ ი ს ა ლ ო ც ა ვ !

იხილე გვერდი მეოთხე

„ქართველთა ამხანაგობის“ განცხადება. (3—2)

---

### ქრისტე აღსდგა!

„დასაჰამსა და მიზეზსა ახლისა ცხოვრებისასა ვუგალობთ!“

აღდგომაა!

გულის-ძგერითა და ფანცქალით ეგებება ყოველი ქრისტიანი ამ ბედნიერს დღეს, ამ დღესასწაულთა დღესასწაულს.

ბედნიერი დღეა, სანუგეშო დღეა!.. აღდგომას ხომ სინათლემ სძლია სიბნელეს, სიმართლემ—უსამართლობას, კეთილმა—ბოროტს.

ბედნიერი დღეა, სანუგეშო დღეა! აღდგომა ხომ ნიშანია იმისი, რომ სიკვდილმა დასთრგუნა სიკვდილი და მიანიჭა სიცოცხლე „მყოფთა საფლავისათა“.

დიაღ, აღდგომა იმედია, რომ ბნელს შესცვლის ნათელი, ბოროტს—კეთილი, სიძულვილს—სიყვარული.

ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს,
მის ფერ-უთვალავს შვენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით,
სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!..

აღდგომა იმედია, რომ უსამართლოდ ჩაგვრას, უბრალოთა დევნას, უდანაშაულოთა ტანჯვას ბოლო მოეღება და შეიმუსრება „მოქლომნი საუკუნოდ პყრობილთა შებორკილებულთანი“.

„ესე არს დღე უფლისა, ვიხარებდეთ,
და ვიშვებდეთ მას შინა!“

ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ, რადგან დღევანდელი დღე დღეა იმედისა, რომ დაჩაგრული, ტანჯული და წამებული, გვემული და ვნებული კვლავ აღსდგება. დღევანდელ დღეს „აღსდეგ შენ, ჰოი მეუფეო, რომელმან დაცემულთა მიეც აღდგომა“.

„ხოლო მეექვსით ჟამიდგან დაბნელდა ყოველი ქვეყანა ვიდრე მეცხრე ჟამამდე“. ...„და ქვეყანა შეიძრა და კლდენი განსქდეს!“

დიაღ, ქვეყანა შეიძვრის, კლდენი განსქდებიან, სიბნელე მოიცავს არემარეს და მერე დაადგება ნათელი, ნათელი საუკუნო, ჭეშმარიტი, დაუსრულებელი. აღსდგებიან დადუმებულნი საუკუნოდ პყრობილნი, შებორკილებულნი და მოგვენიჭება ცხოვრება, ცხოვრება სიყვარულისა, ძმობისა, ერთობისა.

„და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების!..

---

## ახალი ამბავი

*** უუწმ. სინოდს განუზრახავს სკოლების დაარსება ყველა მონასტერთან გლეხთა შვილთათვის.

*** ტფილისის სამხედრო ფერშლების სკოლაში მისაღები ეგზამენი დაიწყება 28 მაისს.

*** ამას წინად ჩვენ გვქონდა გადმობეჭდილი მთავრობის განკარგულება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაადვილდეს ფოსტით გამოგზავნილის ფულისა და ნივთის მიღება ყველასთვის და მეტადრე იმათთვის, ვინც წერა არ იცის. ეხლა შევიტყეთ, რომ ეს ახალი წესი კავკასიაში არ იქნება შემოღებული, რადგანაც აქ წერა-კითხვის უცოდნელთა რიცხვი მეტად დიდიაო.

*** ყველა ხორაგეულის ქალაქში ფასმა საოცრად აიწია; არაოდეს ესე არა ყოფილა. ასი კვერცხი 3—4 მან. ნაკლებ არ იშოვებოდა, გოჭი 3—4 მანეთი და ამავე ფასად ინდოური და სხვა. ბატკნების შოვნა ხომ თითქმის არც-კი არის. რადგანაც ეს საშინელი სიძვირე უფრო ვაჭრების საქმეა, პოლიციამ მოხელეები დააყენა ყოველ მოედნებზე თვალ-ყურის დასაჭერად და ზოგიერთ ხორაგეულზედ ფასი გადაჰკვეთა. ამით ქალაქის ღარიბ ხალხს კარგი შეღავათი მიეცა. რკინის გზით ერთბაშად ექვსასი ათასი კვერცხი მოუტანიათ. პოლიციამ ეს შეიტყო და განკარგულება მოახდინა, რომ სულ ეს კვერცხი მოედნებზე გაეყიდნათ და ხელით არ ევდოთ ჩარჩებს.

*** ბათუმში მართლ-მადიდებელ ქრისტეანების ეკკლესიის აშენება იჯარით გაუციათ 290,000 მანეთად. იჯარადარმა უნდა ააშენოს სამის წლის განმავლობაში.

*** ევლახთან მტკვარზე ხიდის გაკეთება დასჯდომია რკინის გზის მმართველობას 200 ათას მანეთამდე.

*** ფხოველი (სიღნაღის მაზრა): სხვა სოფლელები ღვინით მაინც მიდიან იოლად და აქაურები ამასაც მოკლებულნი არიან ვენახების უქონლობისა გამო. შიმშილს გარდა, აქ გაჩნდა უცნაური ავადმყოფობა, რომელსაც ჭვალსა და სხვა-და-სხვა სახელებს ეძახიან. ამ ავადმყოფობას არ გააჩნია დიდი და პატარა, ერთნაირად ერევა ორივეს და ხოცავს. ეს რამდენიმე კვირაა ყოველ დღე თითქმის თითო კაცი კვდება. საჭიროა ექიმის და ფერშლების მოწვევა, თორემ, თუ კიდევ, ყური დაუგდეს, დიდ ზარალს მისცემს ხალხსა.

*** სოფ. ჭგანი (სამეგრელო). აქ გაჩნდა ყვავილი და წითელა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავინ არ უმსხვერპლია. ისეთი სიცივე დაიჭირა ეხლა ჩვენში, რომ ზამთარშიაც-კი არა ყოფილა. თუმცა შარშან ამ სოფელს ეწვია ხოლერა და ხუთი სულიც იმსხვერპლა, მაგრამ წელს-კი მგონი გადურჩეს ამ უმოწყალო სენს, რადგანაც ქუჩები და თხრილები კარგა დაწმენდილია და ხალხმაც სისუფთავეს მიჰყო ხელი.

*** ს. ქედა (ქვემო-აჭარა): ჩვენში აქნობამდე ტყე და ღელე ამწვანე-

---

## ფელეტონი

### მონაზონი

(ეპიზოდი მე-XVII საუკუნიდამ)

I

გათენდა... მზემან ქვეყანას
უხვად მოჰფინა სხივები;
გამოიღვიძა ბუნებამ,
გაცოცხლდა ტყე და მინდვრები:
აგერ, ჰიკჰიკობს მერცხალი,
სადღაც შორს უსტვენს ბულბული,
იმის მომხიბვლელს გალობას
ყურს უგდებს ყველა სულდგმული;
ყვავილებს დასტრიალებენ
თავს ჭრელი პეპელეები,
ბალახში დაცქრიალობენ
ათასნაირი მწერები!
სუყველგან მოძრაობაა,
სიცოცხლე სდუღს და გადმოდის,
ხოლო რას ნიშნავს, რომ კაცის
ხმა არსაიდამ არ მოდის?
რას ნიშნავს, რომ ამ მინდვრებში
არ ისმის მუშათ ღიღინი,
ან პაწაწინა მწყემსების
სიცილ-ხარხარი, კიჟინი?
ნუ თუ არ არის აქ არსად
სოფელი გაშენებული,
ნუ თუ ეს მხარე კაცთაგან
არის სულ მივიწყებული?
მაშ რაა, აგერ რომ მოსჩანს
გორაზე კოხტადა მდგარი,
ეთრად ხეების შუა-გულ,
თუ არ სასოფლო საყდარი?
რა არის გორის ძირშია,
ჩამწკრივებულნი რომ სდგანან,
თუ არ სახლები სოფლელთა?
აგერა მოშორებითა
ტურფა ბაღნი და ვენახნი;
რად დაუგდიათ მაშ ოხრად
წალკოტნი ამწვანებულნი,
ნუ თუ პატრონნი ლტოლვილან
მტერთაგან შეიწრებულნი?

II

დიდი ხანია, შაჰ-აბაზ
საქართველოსა აოხრებს,
სადაც-კი მივა, აყენებს
სისხლის ღვარს, მკვდრებისა გორებს;
მთლად გადმოთელა კახეთი,
მოადგა ქართლის საზღვარსა...
მცხოვრებნი იხიზნებიან,
სტოვებენ სახლსა და კარსა.
დაცარიელდა სოფლები,
მთას მიაშურა ყველამა,
მაგრამ იქ ლეკნი დაუხვდნენ
უმტყუნათ ბედის-წერამა!
აქ სპარსნი ჟლეტენ ქართველებს,
ბრძოლითა დაქანცულებსა,
იქ ლეკის ჯარი ადენს მუსრს
მთებშია დახიზნულებსა...
აი... ეს არის მიზეზი,
რომ არ სჩანს ადამიანი
ახლა ამ არე-მარეში,
თუმცა დილაა მზიანი!

III

ჩუ... ეს ვინ არის, აგერა
საყდართან შავით მოსილი?
მონოზანსა ჰგავს... უძრავად
გდია აქ თმა-გაწეწილი...
ჩუ, შეკრთა... გამოიღვიძა,
გამოისახა პირჯვარი
და დაიჩოქა... ჰლოცულობს,
ჩამოსდის ოფლისა ღვარი;
თვალები ცრემლით ევსება,
ჰლოცულობს, სტირის საბრალო!..
უსმინე ლოცვა საწყალსა,
უსმინე, ღმერთო მაღალო!

IV

„არა, არ წავალ, არ გავექცევი
წმინდა გიორგის და სამშობლოსა.
რაც ღმერთს სურს ჩემთვის, აქ დამემართოს,
ჩემის მფარველის მოვკვდე ახლოსა!“
სთქვა მონაზონმა და აღარ გაჰყვა
გასახიზნავად თავისიანებს.
დარჩა სენაკში... მას აქეთია,
ცხარე ლოცვაში დღესა აღამებს:
ჰლოცულობს დღისით, ჰლოცულობს ღამით
და, როცა ლოცვით მოიქანცება,
ულონოდ ქმნილი, დედა-მიწაზე
დაემხობა და დაეძინება.
მაშინ მძინარსა თვით მაცხოვარი
ხელში გვირგვინით თვალწინ უდგება
და ეუბნება: „დასდეგ, გამაგრდი,
და ეს გვირგვინი შენი იქმნება!“

V

რაღამ შეაკრთო კვლავ იგი,
რად არის აღშფოთებული?..
ვინ არის ეს, რომ მოსულა
და სდგას აქ შეჩვენებული?—
ეს სპარსი არის... აქ, ახლოს,
დაწანწალებდა წყეული
და, ეკკლესია რომ ნახა,
მოვიდა გახარებული;
უნდოდა მისი გაძარცვა,
მაგრამ უეცრად მტარვალი
მოჰხიბლა მონაზნის ნახვამ
და სდგას მის ეშხით დამთვრალი...

VI

მონაზონი

რაღას უყურებ, ურჯულოვ, რისთვის
არ ამოიღებ ბასრსა მახვილსა
და არ მომისპობ მწარე სიცოცხლეს?
ხომ ჰხედავ, მზად ვარ—ველი სიკვდილსა?

სპარსი

არა, სიკვდილსა ნუ ელი ჩემგან,
ტურფა ქმნილებავ!

მონაზონი

მაშ გამეცალე!

სპარსი

რას ამბობ? შენებრ მშვენიერებას
როგორ მოვშორდე მე ასე მალე?
არა, წარმტაცო სულის და გულის,
უნდა დამატკბო ჯერ სიყვარულით.
შენი ნახვა თვით დიდებულს შაჰსაც
გულს აღუვსებდა ხომ სიხარულით.
სთქვა ურჯულომა და მიიწია;
მონაზონი-კი შეშინებული
წამოხტა ზეზე და შეხედა ცას,
თითქოს იქიდამ გამწარებული
ელისო შველას...
მტარვალი უმზერს,
ვით მსხვერპლსა მხეცი გაფთრებული.

სპარსი

ოჰ, კმარა, კმარა!.. ნულარ ფიქრობ ბევრს,
მოუგზავნიხარ თვითონ განგებას
შენ დღეს ჩემთვისა, ვითარცა ჯილდო,
და რაღად ასხამ შხამს სიტკბოებას?
ხომ იცი, ძალას ვიხმარ, თუ ახლავ

ბული და მინდორ-ველი ყვავილებით შემკული იყო. ამ ბოლო დროს-კი მარტმა ძლიერ გვიმტყუნა: თექვსმეტიდგან დაიწყო საშინელი ქარიშხალი; წვიმა და თოვლი, სეტყვა სულ ერთმანეთში აურია. ისეთი სიცივე დაიჭირა, რომ იანვარში არ გვინახავს. მაღალ სოფლებში ერთი არშინი თოვლი ძევს. ისეთ ცუდს დროს გვესტუმრა ეს თოვლი, როცა „ფოხორა“ საქონელს სარჩო შემოელია. თუ აქვს ვისმე ცოტაოდენი ჩალა, რაც უნდა შეაძლიო, არ გაჰყიდის, რადგანაც ეფიქრება, ზამთარმა დიდხანს არ გასტანოსო. მოხუცებულები ამბობენ, რომ მარტში ამნაირ ყინვა-სიცივეს არ მოვსწრებივართო, მაგგრამ კარგი წელიწადი უნდა იყოსო. ავადმყოფობა არაფერია, სურდო-ხველას გარდა.

*** გაზეთ Кавказъ-ის სიტყვით, დონის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობას უთხოვნია ფინანსთა მინისტრისათვის, რომ ამ ბანკს შეეძლოს მოქმედება დაღესტნისა და ყარსის ოლქებში, ბაქოს, განჯისა, ქუთაისის, ტფილისისა და ერევნის გუბერნიებში. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრი შეჰკითხებია მთავარ-მმართებელს, სასარგებლოა თუ არა კავკასიის მეურნეობისათვის დონის ბანკის თხოვნის შეწყნარებაო. მთავარ-მმართებელს მიუწერია ტფილისის გუბერნატორისათვის, ამ საქმის შეხახებ ცნობები შეკრიბეო.

*** პეტერბურგიდგან დეპეშა მოსულა, ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ა. ს. ერმოლოვი მეურნეობის და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მმართველად დაინიშნაო (Тиф. Лис.).

## დავით გარესჯის უდაბნო.

უდაბნო დავით გარესჯისა ფრიად შესანიშნავია საქართველოს მონასტერთა შორის, როგორც თავის ისტორიულ თავ-გადასავალით, ისე სარწმუნოების განმტკიცებით საქართველოში. დაუვიწყარია ამაგი ამა უდაბნოსი საქართველოსათვის: არა ერთი და ორი ბრწყინვალე მოღვაწე აღიზარდა აქ სამოქმედოდ ეკლესიისა და მამულის დაცვისათვის. გიორგი მთაწმინდელის შემდეგ ათონის ივერიის მონასტერს ამა უდაბნომ ჩამოართვა ყრმათა აღზრდის საქმე საქართველოში და ამ დრომდამაც იწყობა სწორედ მისი აყვავება ზნეობრივად და ქონებრივად. მოხატულობანი კლდის სენაკებისა და ტაძრებისა სწორედ ამ დრომდამ არიან შექმნილნი. თუ კაცმა თავის თვალით არ იხილა ადგილობრივ სიმრავლე კლდეში გამოკვეთილ სენაკთა, ტაძართა და ტრაპეზთა—ძნელი დასაჯერებელია ნაწერი. რომ არ გავაზვიადოთ რიცხვი სენაკებისა და ტაძრებისა, ვიტყვით მოკლედ: დავით გარესჯის უდაბნოს ათ-ორმეტ მონასტერში უნდა იყოს სულ უკანასკნელი სამი-ათასი სენაკი, ორასი საყდარი—სამლოცველო, და ორმოცდა-ათამდე ტრაპეზი (ბერ-მონაზონთა პურის საჭმელი დარბაზი). მარტო „წამებულთა“ ლავრაში ოცდა ექვსი საყდარია—მთლად მოხატულნი და კლდეში გამოკვეთილნი. აი ეს ამოდენა ბინადრობა ბერ-მონაზონთა მეთექვსმეტე საუკუნის გასულს სავსე იყო ღვთის მოსავთა კაცთა დასებით: აქ იყო დასი მგალობელთა, წიგნთა გადამწერალთა, ხუროთ მოძღვართა, ხელოვანთა (ხურონი, მჭედელნი, ყდის-მკაზმავნი, მხატვარნი, კალატოზნი და სხვ.), ღვთის-მეტყველთა, ყრმათა აღმზრდელთა და სხ. დადგა თუ არა მეჩვიდმეტე საუკუნე, ამა უდაბნოს ჩარხი უკუღმა დატრიალდა და 1618 წ. ნაოხარს წარმოადგენდა. თითქმის ოცდა ათის წლის განმავლობაში უკაცურად იყო. ექვსი ათასი ბერ-მონაზონი თვით აღდგომის დილით დაიხოცნენ სპარსთა ხელით და მათი უმანკო სისხლი დღესაც ღაღადებს ღვთის ვედრებასა მშვიდობისათვის „სოფლისა და კაცთა ნათესავისა“... გავიდა ოცდა ათ წელიწადზედ მეტი და თითო-ოროლა „სოფლისა ზრუნვათაგან შეურვებულთა“ კაცთა მოისურვეს ცხოვრება შორის ნანგრევთა დავით გარესჯის უდაბნოჲსა. მათის თხოვისამებრ მეფე არჩილმა, ვახტანგ V ძემ, შეჰკრიბა ძვალნი სპარსთაგან დახოცილთა ბერ-მონაზონთა, გაუკეთა ლუსკუმა აღდგომის პატარა ეკლესიის საკურთხეველში დ განაჩინა წესი ბერ-მონაზონთა ცხოვრებისა. მაგრამ სატირელი იყო და სამწუხარო იმ დროს ხილვა თვით უდაბნოს რიცხვ-მცირედთა ბერთა, რომელნი «ემზგავსნეს ბუთა ნატამალთა ზედა». იმ დროს თვით საქართველოს შინაურული ყოფა-ცხოვრება ირყეოდა და თვით მეფენი „არღა მეფობდნენ“ სპარსთა-ოსმალთა მძლავრების ძალით. გავიდა დრო-ჟამი და უდაბნოს სამწუხარო ყოფნას კვლავ გაუღიმა ბედმა. ხუცეს-მონაზონი სიმეონ (ორბელიანი) და ძმა მისი დიაკონი ბესარიონ (შემდეგ კათალიკოზი), მონაზონი შილა, ბერი ონოფრე ჩივაძე—შეუდგებიან უდაბნოს განახლებასა. ესე ბერ-მონაზონნი მივიდნენ ნინოწმიდელ იოსებთან (1655—1679 წ. არაგვის ერისთავის ძე) და სთხოვეს შემწეობა. იოსებმა რაკი უარი უთხრა „ჰყვედრა და აგინა“ კიდეც, ბერ-მონაზონნი მივიდნენ ნიკოლოოზ სამებელთან (1675—1705 წ. ჩოლაყაშვილი, შემდეგ ალავერდელი). ნიკოლოოზმა სრული მამობრივი ზრუნვა აღმოუჩინა ბერ-მონაზონთა და დაეხმარა «განწმედითა და განახლებითა ეკლესიისა და მონასტრისათა, ეკლესიისა სამსახურებელის ნივთებითა ყოველითავე და წიგნებითა შესამოსლითა და საზრდელითა». ამის მიზეზით «გამოეხვა მონასტერი იგი ნინოწმინდელთა და ჰმართვიდენ მას კაწერელნი-სამებელნი“. შემდეგ მეფე ნაზარ-ალიხანი იტყოდაო: „მიკვირს ნინოწმინდელისაგან იოსებისა, რად უტევებს მწყსად კაწერელსა სამწყსოსა თვისსა და აძლევს მონასტერთა--წინა მორბედისასა და ღირსისა დავითისასა“.

როდესაც უდაბნო დავით გარესჯელისა და ნათლის მცემლისა ცოტაოდენად განახლდა და ბერ მონაზონთა რიცხვი გამრავლდა, ამ დროს (1690 წ. 12 მარტს) კათალიკოზმა იოანე დიასამიძემ ჰქმნა კრება მღვდელთ-მთავართა და გაარიგა საქმე დავით გარესჯის უდაბნოსი და წინამძღვრად დაადგინეს ონოფრე მაჭუტაძე, ძმა მაქსიმე ბოვნელ ეპისკოპოზისა (1696—1712 წ.). ამის შემდეგ განბრწყინდა კვლავ უდაბნო ღირსის დავითისა, თუმცა წარსული დიდება და ბერ-მონაზონთა რიცხვი ვეღარ იხილა და მრავალნი სენაკნი და საყდარნი დაშთნენ გაუერანებულ.

რომ რაოდენადმე სრული წარმოდგენა იქონიოს მკითხველმა, დავით გარესჯის უდაბნოს რა სიმდიდრე და მნიშვნელობა ჰქონია, წარმოვუდგენ სიტყვა-სიტყვად იმ გუჯრებს და ცნობებს, რომელნიც-კი ჩემს ხელში არიან. ეს გუჯრები და ცნობები დიდ ნათელსა ჰფენენ საქართველოს ისტორიასა და მონასტერთა წეს-წყობილებასა, მეფეთა და მღვდელ-მთავართა ზრუნვასა მათ ვის, და ამისათვის შემდეგს მეისტორიეს დიდ შეღავათს მისცემენ ჩვენის სამშობლოს წარსულის შესწავლისათვის და მის ისტორიის შემუშავებისათვის. გუჯრებს ჩემით დავურთე მცირე ისტორიულნი შენიშვნანი და სია წინამძღვართა.

პ. ცხვილოელი

## შევუდგეთ!

ჰენრიკ სენკევიჩისა

(დასასრული *)

### VIII

მშვენიერი დილა იყო და შემდეგ-კი მოიღრუბლა. დასავლეთიდგან შავი, წყლით გატენილი ღრუბლები მოსცურამდა აღმოსავლეთისაკენ და მალე მთელი ცა დაჰფარა. წვიმას აპირებდა. ცა ოდნავ-ღა მოსჩანდა და მალე სრულიადაც დაიფარა ღრუბლებით.

მაღალ ადგილზედ, რომელსაც გოლგოთა ეწოდებოდა, ხალხი შეგროვდა. ქვემოდ, ქალაქის ახლო-მახლო ადგილები ავსებით სავსე იყო კარვებით. ეს კარვები დაეცათ დღესასწაულების გამო იერუსალიმს მოსულს ებრაელთ.

გოლგოთასთან თავ-მოყრილი ხალხი მოუთმენლად იყურებოდა იქითკენ, საიდგანაც სიკვდილით დასასჯელნი უნდა წამოეყვანათ. აგერ ანტეაც გოლგოთას მოიყვანეს ყვავილებით მორთულ საკაცით. ანტეასთან ახლდნენ ცინნა, ასის თავი რუფილი და ათიოდე ჯარის კაცი.

ანტეა, სხვა დღეებთან შედარებით, დღეს უფრო მოსვენებული იყო და შიშით არ მოელოდდა შუადღეს, როგორც სხვა დროს. რაც დღეს პილატემ უამბო ნაზარეველზედ, ანტეას გულში ჩაებეჭდა და მეტად დააფიქრა. ანტეამ თითონაც არ იცოდა, რად ჰფიქრობდა ისე ბევრს იმ უცნობ კაცზედ. იმ დროს ბევრი ესალმებოდა გმირულად სიცოცხლეს, ბევრი მომკვდარა ვაჟკაცურად, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ დრომდე არავისა სწამდა, მხოლოდ სიკვდილს შემდეგ იწყობა ჩემთვის დაუსრულებელი სიცოცხლე და განუსაზღვრელი ბედნიერებაო.

და ის, ვინც დღეს ჯვარს უნდა აცვან, სწორედ ამას აღიარებდა. ანტეას ძლიერ ეშინოდა სიკვდილისა და ამიტომ ნაზარეველის მოძღვრება ძლიერ მოსწონდა, რადგანაც ეს მოძღვრება იმედს უღვიძებდა გულში, იქნება მართლა ამბობდეს ნაზარეველი და სიკვდილის შემდეგ მაინც დავსტკბე სიცოცხლითაო. ანტეა დარწმუნებული იყო, რო მალე გამოვესალმები წუთისოფელსაო. რა იყო სიკვდილი ანტეასთვის? ანტეას სიკვდილი დააშორებდა ცინნას, საყვარელს მამას—ტიმონს, დააშორებდა ხათელს, სიყვარულს და შეუერთებდა წყვდიადს, არარაობას. რამდენად უფრო უყვარდა ყველას ანტეა, იმდენად ძნელი იყო მისთვის განშორება ამა სოფლისა. ანტეა რომ დარწმუნებული ყოფილიყო, ამა სოფლიდგან სიკვდილის შემდეგ მცირედი ხსოვნა მაინც გამყვება ცინნას სიყვარულისა და იმ ბედნიერებისა, რომელსაც მცირე ხნის განმავ-

*) იხ. „ივერია“ № 63.

---

არ შესრულებ შენით ჩემს ნებას?...

მონაზონი

ვაჟკაცის საქმე ბრძოლის ველია,
თავის სწორებთან ომი მედგარი,
და არა საწყალ სუსტის ქმნილების
ხელში ჩაგდება და საზიზღარი
წვალება მისი... შენც ვაჟკაცი ხარ
და ნუ თუ ჩემზედ იხმარ ძალასა?..
არა, შენ ჩემსას არ მოინდომებ დამცირებასა,
მოიგონებ შენს... დედას ან დასა;
ხატივს სცემ იმათს წმინდა სიყვარულს,
ყურად-იღებ ჩემ ვედრებასა!..

სპარსი

რაებსა ამბობ? თვით მაჰმადიც-კი
არ იტვირთებდა შენს დათმობასა!..

### VII

სწუხს მონაზონი და იტანჯება,
შესთხოვს მაცხოვარს—ასწავლოს, რა ჰქმნას,
რომ თვის სიწმინდე და ქალწულება
წარწყმედისაგან ახლა დაიხსნას...
როდესაც მარტო ის აქ რჩებოდა,
მტრისაგან მხოლოდ სიკვდილს ელოდა
და სრულიადაც არ უფიქრნია,
თუ ამ ყოფაში ჩავარდებოდა.
სწუხს მონაზონი და იტანჯება...
მაგრამ ეს რაა, რომ იხატება
კმაყოფილება იმის სახეზედ?
ნუ თუ თვის ხვედრსა სურს დამორჩილდეს?
ნუ თუ მზად არის, რომ შეუსრულოს
მტარვალსა მისი გულის წადილი,
თვისი უმანკო სული წარსწყმიდოს
და წაჰბილწოს ეს წმინდა ადგილი?..

მონაზონი

თუ დამეხსნები, სამაგიეროდ
წამალსა მოგცემ მე იმისთანას,
რომ არ შეეძლოს არა იარაღს
მოეკაროს შენს სხეულს და დასჭრას...
შენ თვითონ იცი, რად ეღირება
ის მეომრისთვის?.. ვსწუხვარ რომ ჩვენს მტერს
უნდა მოგმადლო ასეთი ძალა,
მაგრამ წაიღე, თუ არ მახლებ ხელს!

სპარსი

ჰო კარგი, კარგი... სხვა მოატყუე,
მე სამასხაროდ არა მცალია!
აბა გიჟი ვარ, რომ დავიჯერო,
რასაც შენ ამბობ, რომ მართალია?

მონაზონი

გსურს, გამოსცადე! არ არის ძნელი
ამის გამოცდა...

სდუმდა სპარსელი
და ფიქრს მიეცა: „ეგების მართალს
ამბობს და მომცეს, რა მენაღვლება?
თვითონ ხომ მაინც ჩემია, ჩემს ბრჭყალს
ასე ადვილად ვერ გადურჩება“..

სპარსი

კარგი, მომეცი, რაღაცა არი,
თუ მართალია, ხელს აღარ გახლებ,
მაგრამ უნდა-კი სწორედ დავრწმუნდე,
ცარიელს სიტყვას ვერ დავუჯერებ.

მონაზონი

აი, ეხლავე!...

### VII

მუხლ-მოდრეკილი
სდგას მონაზონი და უკანასკნელს
ამბობს ლოცვასა: „ნუ დამსჯი ღმერთო,
„ამ ტყუილისთვის!“... აფრქვევს ცხარე ცრემლს
და დგება ზეზე... მიდის სპარსელთან,
რაღაც ბალახი ხელში უჭირავს...
სულ განაბული იცდის მტარვალი,
სახე უცინის, თვალი უბრწყინავს.

მონაზონი

აი, ამ ბალახს ხომ ჰხედავ?

სპარსი

მერე?

მონაზონი

გულში ჩავიდებ, შენ-კი ეგ ხმალი
მაგრად დამკარი, და, თუ ვერ დამსჭერ,
ხომ დაიჯერებ, რომ ვარ მართალი!..
. . . . . . . . . . . . .

### IX

შუადღე არის... მზე მიწას
პირ-და-პირ დასჩერებია;
სიცხეა... ყველა ცხოველი
სადმე ჩრდილს შეჰფარებია...
სამარებრივი სიჩუმე
სუფევს ყოველგან... ფრინველნი
სდუმდნენ, ნიავიც აღარ ჰქრის,
არ შრიალებენ ფურცელნი;
ბუზიც-კი არსად დაჰფრინავს,
ქვეყანა მიწყნარებულა,
თითქოსო რაღაც ძალითა
სიცოცხლე შეჩერებულა!
თითქოს უგრძვნია სამყაროს,
რომ საშინელი რამ ჰხდება,
და იცდის... უნდა აღსრულდეს
უცვლელად ღვთისა განგება!
აი, იელვა მახვილმა,
მზეზედა გ იბჭყვრიალა,
დაეცა გულსა და მკერდსა
გააპო, გაისრიალა!..
წაიქცა სუსტი ქმნილება,
სისხლმა დაიწყო თქრიალი.
«გმადლობ შენ, ღმერთო, რომ მიხსენ“,
სთქვა მონაზონმა და თვალი
დახუჭა საუკუნოდა;
პირზედ აჩნს ღიმი სიამის:
იცის, რომ დაიმსახურა
წმინდა გვირგვინი მოწამის!..
სპარსი გაშტერდა, უყურებს
თვის მსხვერპლსა განცვიფრებული...
დიდხანსა იდგა ამ გვარად,
მტარვალი ჩაფიქრებული...
ბოლოს სთქვა: „ვერას დავაკლებთ,
„ვერა, ჩვენ ამ ქვეყანასა,
„რომელიც გმირად კაცს გარდა,
„ქალს ჰბადავს ამისთანასა!
«ჩვენ რიცხვითა ვართ ძლიერი,
„ქართველნი სულის სიმტკიცით!..“
სთქვა და დაიწყო საფლავის
თხრა სისხლიანის მახვილით...

### X

ღამეა... მოწმენდილი ცა
ქვეყანას თავზედ ახურავს,
ფერ-მიხდილ ვარსკვლავთა შორის
ბადრი მთოვარე დასცურავს...
აი, გამოჩნდა მის შუქზედ
საყდრის მიდამო მდუმარე,
გამოჩნდა ახალ-გაჭრილიც,
ჯერ ისევ სველი სამარე,
მოწამის განსასვენებელს
თავსა დაადგა ნათელი...
აღსრულდა ღვთისა განგება,
იდიდოს მისი სახელი!..

დუტუ მეგრელი

1891 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაში ვეღირსეო, კიდევ ისე დიდად არ იდარდებდა.

და აგერ გამოჩნდა ვიღაც კაცი და ამტკიცებს, მხოლოდ სიკვდილს შემდეგ იწყება ადამიანის სიცოცხლე, ბედნიერებაო. მერე ვინ ამბობს ამას? ვიღაც უცნობი ნაზარეველი კაცი, მასწავლებელი, წინასწარმეტყველი, ფილოსოფოსი, რომელიც ხალხს სიყვარულს უქადაგებს, რომელიც იმ დროს, როცა აწამებდნენ, ხალხსა ლოცავდა და ჯილდოდ ყველა ამისა დღეს ჯვარს უნდა აცვან. ანტეა ჰფიქრობდა: მაშ რისთვის ასწავლიდა ხალხსა, თუ ბოლოს ჯილდოდ სიკვდილი ეღირსებოდაო. ამ ქვეყნად ზოგს სახელის მოხვეჭა უნდა, ზოგს სიმდიდრე, ფუფუნება, მშვენიერი სასახლე, ძვირფასი ტანთსაცმელი, — ნაზარეველმა ყველა ეს უარ-ჰყო და ახალი მოძღვრება აღიარა: ჰქადაგებდა სიყვარულს, კაცთმოყვარებას, ძმობას, ერთობას, — და ნუ თუ ყველა ამის მქადაგებელი ბოროტი და მატყუარა უნდა ყოფილიყო? და თუ ნაზარეველი მართალს ამბობდა, მაშ დაილოცოს თვით სიკვდილიც, რომელიც მხოლოდ დასასრული ყოფილა მუხთალ წუთის-სოფლისა და სათავე დაუსრულებელ სიცოცხლისა და ბედნიერებისა; დაილოცოს სიკვდილი, რომელიც ტანჯვისაგან იხსნის ადამიანს...

ეხლა მიხვდა ანტეა, რას ნიშნავდა ნაზარეველის ქადაგება.

ნაზარეველის მოძღვრებამ სრულიად შეიპყრო და დაიმონავა ანტეას სული, გული, გონება... მოაგონდა მამის სიტყვები, რომელიც ხშირად ამბობდა ხოლმე, ხალხი ახალს ჭეშმარიტებას, სიმართლეს მოილისო. აი ეს ყოფილა სიმართლე. ამ მოძღვრებამ სიკვდილი დათრგუნა და სიცოცხლე მოგვანიჭაო. ანტეა ისე გაიტაცა ამ ფიქრმა, რომ, თუმცა შუადღე მოახლოვებულ იყო, მაგრამ არც ის მოჩვენება — გვამი ახსოვდა და არც ის საშიში თვალები.

ხალხი დაიძრა გოლგოთისკენ. ანტეა მაღლობიდგან ყველაფერს კარგად ხედავდა. აგერ ხალხის ბრბო მოახლოვდა კიდეც. ყველაზედ წინ მოდიოდნენ ფეხ-შიშველნი და ძონძებში გახვეულნი ბიჭ-ბუჭები, საშინლად ყვიროდნენ და გზაში ქვებს აგროვებდნენ, ჯვარ ცმულთ ვესროლოთო. შემდეგ გამოჩნდა მაწანწალა ხალხი, სეირის საყურებლად მოსული. ეს ხალხი ისე გაცხარებული ყვიროდა, რომ გეგონებოდათ, ეხლავე ერთმანეთს ეცემიან ერთმანეთის ამოსაჟლეტად. იერუსალიმის შეძლებულნი მოქალაქენი მოშორებით იყვნენ და თავი დარბაისლად ეჭირად. აქა-იქ მოჩანდნენ გულ-კეთილნი სოფლელები და მწყემსებიც, რომელნიც დღესასწაულის გამო იერუსალიმს მოსულიყვნენ და უნებურად გამოჰყოლოდნენ გოლგოთასკენ ხალხის ბრბოს.

ბოლოს გამოჩნდა მთელი სინედრიონიც და მათ შორის მღვდელმთავარი ანნა და კაიაფა, უშველებელის ქუდითა; ამათ მოსდევდნენ ფარისეველნი და სადუკეველნი. ისე დაღრეჯილნი და წელში მოხრილნი იყვნენ, თითქოს მთელის ქვეყნის ცოდო ამათ უკისრიაო.

ცინნა ყველა ებრაელთ ზიზღით უყურებდა, როგორც რომაელთა მონებს, ანტეა-კი — გაკვირვებით. ანტეა თავის გამზდარის, მკრთალის სახით უფრო აჩრდილსა ჰგავდა, ვიდრე ცოცხალს ადამიანს და ამიტომ ხალხიც თავის მხრივ აშტერდებოდა ავადმყოფს. ყველა ეს ებრაელნი ზიზღით უყურებდნენ მომაკვდავს ქალს, მხოლოდ იმიტომ, რომ უცხო ქვეყნისა იყო. არც ერთის სახეს სიბრალული არ ეტყობოდა, პირ-იქით თითქოს უხაროდათ, ეს ავადმყოფი სულთამხუთავის ბრჭყალებს არ ასცდებაო. ანტეა მხოლოდ ეხლა მიხვდა, რად ითხოვდა ეს ხალხი, ჯვარს აცვით ის კაცი, რომელიც სიყვარულს ჰქადაგებსო. და ეს ნაზარეველი ეხლა ძლიერ მახლობელ კაცად ეჩვენა, თითქმის ნათესავად. ნაზარეველი უნდა ეწამებინათ და ანტეაც, რამდენი ხანია, წამებულ იყო. დღეს მოესპობა სიცოცხლე ამ საკვირველს კაცს და ანტეას ბედიც ხომ გადაწყვეტილია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ იმას სიკვდილი არ აშინებს, რადგანაც სწამ, სიკვდილს შემდეგაც ცოცხალ ვიქნებიო და ანტეას-კი ეს არა სწამს.

ხმაურობა შესწყდა. სიკვდილით დასასჯელნი მოჰყავნდათ გოლგოთას. ხალხში ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამი ჯვარი მოჩანდა. შემდეგ ანტეამ გაარჩია ორი ავაზაკი, რომელთაც მძიმე ჯვრები მოჰქონდათ მხრებით და შემდეგ გამოჩნდა ისიც, სისხლის ფერ ქლამიდით შემოსილი და თავს ედგა გვირგვინი ეკალთაგან. ნაზარეველი, ფერ-მიხდილი, ნელის ნაბიჯით მოდიოდა, ეტყობოდა მუხლებში ძალღონე აღარ ჰქონდა. ხალხი დასცინოდა. ყველას სახეზედ სიამოვნება ეხატებოდა, უხაროდათ, აი ეხლავ ჯვარს უნდა აცვან ეს ახალი წინასწარმეტყველიო და ის-კი თავ-ჩაღუნული, ჩაფიქრებული მოდიოდა ნელნელა, თითქოს არ ესმოდა ხალხის დაცინვა, თითქოს ვერ ხედავდა ხალხის სიძულვილს და ამავე ხალხს ლოცავდა...

— თვით ნათელი და ჭეშმარიტება ხარ! — წარმოსთქვა ანტეამ.

ნაზარეველი მოუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ცინნა და ანტეა იყვნენ. ანტეა ძლიერ ახლოს ხედავდა ეხლა ნაზარეველს, ხედავდა მის ფერ-მიხდილს სახეს, ხედავდა, როგორ ეალერსებოდა წყნარი ნიავი მის თმებს. ხალხი-კი ისევ დასცინოდა. ნაზარეველმა ხალხს თვალი გადაავლო და თითქოს უნდა ეკითხა: „რა დაგიშავეთო? — შემდეგ აღაპყრო თვალნი ზეცას და ლოცულობდა.

— ანტეა, ანტეა! — შეჰყვირა ცინნამ.

ანტეას ცინნას ხმა აღარ ესმოდა. დაავიწყდა, რომ აგერ, რამდენი ხანია, ადგილიდგან ველარ იძროდა, და სიბრალულით გულ-გამსჭვალულმა, ცრემლ-მორეულმა ამოჰკრიფა საკაციდგან სუმბულები და ვაშლის ყვავილები და ნაზარეველს ფეხ-ქვეშ ესროლა.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხი განცვიფრდა რომაელ კეთილშობილ ქალის საქციელით. ნაზარეველმა ისეთის თანაგრძნობით შეხედა მისუსტებულს ავადმყოფს, თითქოს ლოცავდაო. ანტეა ისევ მიესვენა საკაცეში. იგრძნო, რომ გული ევსებოდა იმედით, სიკეთით, ბედნიერებით და ისევ წარმოსთქვა:

— თვით ნათელი ხარ, ჭეშმარიტება!

ნაზარეველი და ორი ავაზაკი მიიყვანეს გოლგოთას და ჯვრები გაამაგრეს.

ამ დროს გამოჩნდა ერთი კაცი და საშინელის ხმით დაიძახა:

— მე კეთროვანი ვიყავ და მაგან გამკურნა? ნუ თუ ეგ კაცი ჯვარს უნდა აცვათ!

ანტეა შეკრთა.

— გესმის, ქაი, ავადმყოფი გაუკურნავს?

— ანტეა, დავბრუნდეთ სახლში.

— არა, ჯერ აქ დავრჩები.

— ცინნას თავში ფიქრმა გაუელვა, რატომ უწინ ეს ნაზარეველი არ მოვიხმე, იქნება ანტეა მოერჩინაო.

ამ დროს ნაზარეველი უკვე ჯვარს აცვეს. ხალხი გაჩუმდა, თითქოს სურდა, წამებულის კვნესა გაეგონოთ და ამ კვნესით დაესტკბეთო. ნაზარეველი სდუმდა.

შავმა ღრუბლებმა ეხლა-კი მთელი ცა დაჰფარეს. ამოვარდა საშინელი გრიგალი. ცას ტყვიის ფერი დაედო. ჰაერი დამძიმდა. ადამიანს სუნთქვა უძნელდებოდა.

— წავიდეთ, განუმეორა ცინნამ ანტეას.

— ერთხელ კიდევ ვნახო, ერთხელ კიდევ, — ეხვეწებოდა ანტეა.

ცინნამ უბრძანა მსახურთ, საკაცე ჯვრებს ახლო მიეტანათ, რადგანაც საშინლად ბნელოდა და ნაზარეველი არა სჩნდა. ანტეამ კიდევ ერთხელ შეხედა ნაზარეველს, რომლის სახესაც ნათელი დასდგომოდა. მკერდი წყნარად უღელავდა და თვალნი ისევ ზეცისაკენ აღეპყრო.

უცებ ისე ძლიერად დაიქექა, თითქოს მთელი ცა მოირღვა, დედამიწას დაეცა და ქვეყანა შეიძრაო. გაანათა მიდამო, შემდეგ ისევ დაბნელდა. ხალხში ჩოჩქოლი ასტყდა.

— ოოჰ! მართალი კაცი ჯვარს აცვეს!

— სიმართლეს ჰქადაგებდა იგი!

— ავადმყოფთ ჰკურნავდა!

— მკვდრები აღუდგენია!

ვიღაცამ შეჰყვირა:

— ვაი შენ, იერუსალიმო!

მეორემ დაიძახა:

— მიწა იძვრის!

ხალხს შიშის ზარი დაეცა. ზოგი გარბოდა და ზოგმა შიშით ადგილიდგან ფეხი ვერ მოიცვალა. ყველა ჰგრძნობდა, საშინელება რაღაც მოხდაო. მაგრამ უცებ ქარმა ღრუბლები ფალასებსავით გაჰფანტა და მზემ გამოაშუქა. ქვეყანას ნათელი მოეფინა. გამოჩნდა გოლგოთა, ჯვრები. გამოჩნდა თვით ნაზარეველიც, გულზედ თავ-დახრილი, სახე წმინდა სანთელსავით გაჰფითრებოდა, თვალები ისევ ზეცისკენ ჰქონდა აღპყრობილი!

— აღსრულდა! — წარმოსთქვა ანტეამ.

— აღსრულდა! — განიმეორა ცინნამ.

ერთმან ერისაგან ნაზარეველს ლახვროთა გვერდს უგმირა. ხალხი დამშვიდდა და ჯვარცმულს შემოეხვია. გაისმა ხმები:

— გარდმოხედ ჯვარით, გარდმოხედ!

ანტეამ კიდევ ერთხელ შეხედა ნაზარეველის გვამს და იფიქრა:

— ნუ თუ აღსდგება იგი?

ხალხი-კი უფრო მეტად გროვდებოდა ჯვართან, დასცინოდნენ ნაზარეველს და იძახდნენ:

— გარდმოხედ ჯვარით, გარდმოხედ.

— გარდმოხედ! — სასოწარკვეთილებით სთქვა ცინნამაც გულში, — განმკურნე ანტეა და შეიწირე სული ჩემი.

ცა სრულიად მოიწმინდა. ცინნა და ანტეა სახლში დაბრუნდნენ. შუადღე კარგა გადასული იყო. სახლში რომ მივიდნენ, ანტეამ უთხრა ცინნას:

— ჰეკატა არ მოსულა დღესა!..

ცინნაც ამასვე ჰფიქრობდა.

## IX

ანტეას აღარც მეორე დღეს გამოსცხადებია საშინელი მოჩვენება. ავადმყოფი მხიარულად იყო. ცინნას წერილებით შეშინებული მამა ანტეასი იერუსალიმს მოვიდა, რათა ერთხელ კიდევ ენახა საცოდავი შვილი. ცინნას კვლავ იმედი მოეცა ანტეას გამობრუნებისა, მაგრამ საბრალო ვერ ჰბედავდა, გულში ადგილი დაეთმო ამ იმედისთვის. ცინნა ჰფიქრობდა: ანტეა ამ ორ დღეს უკეთ არის, მოჩვენება ორ დღეს არ გამოსცხადებია, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნაზარეველის სიკვდილმა, საშინელმა სანახავმა და სიხარულმა მამის ნახვის გამო იმდენად აალელვა, რომ მოჩვენება აღარ გამოსცხადებიაო. ანტეა მამას მთელ დღეს ნაზარეველზედ ელაპარაკებოდა. ტიმონი გულ-მოდგინედ ყურს უგდებდა და არ ეწინააღმდეგებოდა; ეტყობოდა, ამ ამბავმა მეტად დააფიქრა.

ანტეა მთელ დღეს კარგად და მხიარულად იყო და როცა შუადღე გადავიდა, ანტეასაც იმედი მოეცა. რამდენჯერმე სთქვა: ეს დღე უბედნიერესი დღეაო და ცინნას სთხოვა, დაიწერეო.

მაგრამ ეს დღე მეტად მოღრუბლული იყო. მთელ დღეს სწვიმდა და ციოდა. მხოლოდ საღამოთი გამოიდარა და მზემ წითლად გაანათა მთები და შემდეგ ჩაეშვა თვალ-გადუწვდენელ ხმელთა შუა ზღვაში.

სამაგიეროდ მეორე დღე მეტად ჩინებული იყო. დილით სასიამოვნო ნიავი უბერავდა. ანტეამ სთხოვა ცინნას, ბაღში გამიყვანეთო და იქიდგან გასცქეროდა მაღალ მთებს. ცინნა და ტიმონი გულის ძგერით თვალებში შესცქეროდნენ ანტეას. ანტეას თვალები უბრწყინავდა და ლოყები ოდნავ აუწითლდა. ცინნა თან ფიქრობდა, იქნება ახლა-კი ბედმა გაიღიმაო და ღმერთებს მადლობას სწირავდა და თან შიშით სული ეხუთებოდა, იქნება ეს გამობრუნება სიკვდილის მომასწავებელი იყოსო. ამასვე ჰფიქრობდა ტიმონიც. გულის ძგერით ადევნებდა თვალს ცინნა ჩრდილს და ატყობდა, რომ შუადღე ახლოვდებოდა.

ყველანი გაჩუმებულნი ისხდნენ. ანტეას თანდათან რაღაც მოუსვენრობა დაეტყო. მკერდი ძლიერად უღელავდა. სული ეხუთებოდა. ნიავი შეწყდა. დაცხა. მთელი ქვეყანა თითქოს გაკაშკაშებულმა მზემ დააშვიდა. არსაიდამ ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ჭრელი პეპლები ყვავილებს თავს დასტრიალებდნენ. გარღვეულ კლდიდგან გამოძვრნენ პატარა ხვლიკება და უშიშრად მზეზედ თბებოდნენ.

ანტეამ თვალები დახუჭა, თითქოს ჩაეძინაო და მალი-მალ მძიმედ ოხრავდა. დღე განახევრდა. უცებ ანტეამ თვალები გაახილა და უცნაურის ხმით წამოიძახა:

— ქაი, ხელი მომეცი.

ცინნა წამოხტა. ძარღვებში სისხლი გაუშრა: მოახლოვდა წამი საშინელ მოჩვენების გამოცხადებისა.

— ქაი, ხედავ იქ, — ამბობდა ანტეა, — ხედავ იქ, ჰაერში როგორა გროვდება ნათელი, როგორა კრთის, ბრწყინავს და მიახლოვდება?...

— ანტეა, ნუ უყურებ მაგ ნათელს, ნუ! მოარიდე თვალი!.. — შეჰყვირა შეშინებულმა ცინნამ.

ანტეას სახეს შიში აღარ ეტყობოდა. ტუჩებზედ სიამოვნების ღიმილმა გადურბინა, თვალები აუბრწყინდა და სახეზედ განუსაზღვრელი ბედნიერება გამოეხატა.

— ნათელი ჩემკენ მოდის, მიახლოვდება — აღტაცებით ამბობდა ანტეა, — კარგადა ვხედავ!.. ის არის, ის, ნაზარეველი!.. იღიმება... როგორი მშვიდი სახე აქვს!.. განგმირულს ხელები ჩემკენა აქვს გამოწვდილი... ქაი! იმან განმკურნა, დამიხსნა სიკვდილისაგან და ეხლა მიმიწოდებს თვისთანა.

ცინნა საშინლად გაფითრდა და უპასუხა:

— თუ მიგვიწოდობს, შევუდგეთ იამს!

—

ერთს საათს შემდეგ ბაღჩასთან გამოჩნდა პილატე. შორიდგანვე ეტყობოდა, რომ რაღაც ახალი ამბავი შეუტყვია, მაგრამ, როგორც გონიერსა და დარბაისელს კაცს, ეს ამბავი არა სჯერა, უსაქმო ხალხის მოგონილითუაო, და საკვირველია, შორიდგანვე დაიძახა:

— ხალხი ამბობს, ის ჯვარცმული მკვდრეთით აღსდგაო!

ა. ნ.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

გიგზავნით აღ. უაზნეგის სასარგებლოდ უარსში შეკრებილს ოთხ თუმანს და შემომწირველთა სიას. უმორჩილესად გთხოვთ, ფული კუთვნილებისამებრ გარდასცეთ, შემოწირულთა სია დაბეჭდოთ „ივერიაში“.

ვალ. ნაკ. შაგუბატოვი — 5 მ., ზაკ. ივ. ქავთარაძე — 5 მ., მიხ. დიმ. კოჩლაძე — 5 მ., ალ. იეს. ზალდასტანიშვილი — 5 მ., ზაალ ივ. ჯანდიერი — 3 მ., მღ. სოლ. იმერლიშვილი — 2 მ., მღ. ზაქ. ლუკიანაშვილი — 2 მ., ზაგ. ალ. ზედგინიძე — 2 მ., გაშიმბეტოვი — 1 მ., ვასილიევი — 1 მ., დედულოვი — 1 მ., მელიქ-შახნაზაროვი — 1 მ., თამარ მიხ. კოჩლაძე — 1 მ:, ნიკ. დიმ. გრიგოლაშვილი — 1 მ., ესტ. ზალდასტანიშვილი — 1 მ., გიორგი წითლიძე — 1 მ., ერეკლე ბაქრაძე — 1 მ., ლუარსაბ გიორგობიანი 1 მ., ნესტორ გიორგობიანი — 1 მ., სულ 40 მ.

ერეკლე ბაქრაძე

---

# დეპეშა

24 მარტი

**პეტერბურგი.** უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა დებულება ციმბირის რკინის გზის გამყვან კომიტეტისა იმის შესახებ, რომ შესდგეს ინჟინერთა დასები, რომლებმაც უნდა გამოიკვლიონ გეოლოგიურად ის ადგილები, საითაც ციმბირის რკინის გზა გაივლის.

გზების განსაკუთრებულმა კომისიამ, რომლის წევრებად არიან რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს ადმინისტრა-

ციის წარმომადგენელნი, მექარხნეები დ მემამულენი, აღნიშნა რამდენიმე ადგილი, სადაც რკინის გზის შტოები უნდა იქმნას გაყვანილი, უფროკი ვოლინის გუბერნიაში; სულ უნდა გაყვანილ იქმნას რკინის გზის შტოები 584 ვერსის მანძილზე.

**პარიჟი.** კაბინეტი ესე შესდგა: დიუპუი-მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, დეველი—გარეშე საქმეთა მინისტრი, პეტრალი—ფინანსებისა, გერენი—იუსტიციისა, პუანკარრე—საერო განათლებისა და სარწმუნოებათა, ლუაზილიონი — სამხედრო, რიენიო — ზღვათა, ვიეტტი—საზოგადო სამუშაოთა, ტერრიე—ვაჭრობისა, ვიჟე—მეურნეობისა და დელკასე—კოლონიების მინისტრი.

25 მარტი

**პეტერბურგი.** სამკურნალო დეპარტამენტმა, დასამატებლად და შესაცვლელად იმ დებულებისა, რომელიც დაიბეჭდა 1892 წელს „Правительственый Вѣстникъ“-ის № 123-ში სასანიტარო კომისიათა შესახებ, ახალი წესები დაადგინა.

რუსეთის რკინის გზების უმთავრესი საზოგადოება გამართავს ახალ სატრანსპორტო კანტორებს პეტერბურგს, მოსკოვსა და ნიჟნი-ნოვგოროდში; რომელ დღეს იქმნება გამართული კანტორები ცალკე გამოაცხადებენ. განზრახვა აქვთ ყველა რკინის გზები ორ ნაწილად გაჰყონ სამის მაგიერ.

**სარატოვი.** ვოლგა განთავისუფლდა ყინულისაგან.

**ბელფასტი.** გუშინ აქ მოვიდა ბალფური და დღეს მაღალ ტრიბუნიდან გადასცქეროდა ულსტერის ლოიალისტების დიდს კრებას, რომელიც ქუჩა-ქუჩა მიდიოდა მუსიკითა და დროშებით და აცხადებდა უკმაყოფილებას ირლანდიის ბილლის წინააღმდეგ; კრებას გამოუთქმელი მღელვარება ეტყობოდა; შემდეგ ბალფურმა ურიცხვ ხალხს სიტყვა უთხრა: ულსტერს არაოდეს არ დასჭირდება ბრძოლა თავის თავისუფლებისთვის. მაგრამ თუ ბრძოლა მტარვალ მთავრობის წინააღმდეგ სამართლიანია, მაშინ უმრავლესობის ბატონობის წინააღმდეგაც სამართლიანი იქნებაო.

**მელბურნი.** ავსტრალიის დიდმა სავაჭრო ბანკმა „Commercial banc of Australia“-მ მიბარებულ ფულის გარდახდა შესწყვიტა; ბანკის თანხა 3 მილლიონ გირვანქა სტერლინგია, რომლიდგანაც შემოტანილია მხოლოდ 1,200,000; მიბარებული ფული 11 მილიონია; აქედან 5 მილიონი ინგლისის ოქროთია.

**ლონდონი.** სტამბოლიდან დეპეშით იუწყებიან, რომ იქ კვირას დიდი უბედურება დამართვია ხონთქრის ერის ორთქლით მავალ გემს; დამრჩვალა არა ნაკლებ 60 კაცისა. ამ ამბავმა ძლიერ შეაწუხა ხვანთქარი. დაწვრილებით ჯერ არა იცი ნ-რა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა სასანიტარო დასებ მოხსენება ინგლისის ელჩისა ბრესტში იმის შესახებ, რომ ლორიანში 22 მარტიდან ხოლერისაგან გარდაცვლილა 51 კაცი. ამიტომ მანისტრი უბრძანებს ზღვის ნაპირ ქალაქების მმართველთ, დიდი სიფრთხილე იქონიეთო.

26 მარტს

**პარიჟი.** სამინისტროს დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ, პალატამ მოიწონა, კეტრილის თხოვნით, ბოლო მუხლები ხარჯთ-აღრიცხვისა და მთლად ხარჯთ-აღრიცხვა, როგორც პირველად იყო შეწყნარებული; ამასთანავე პალატამ იკისრა მორიგება სენატთან ბირჟის გარდასახადის შესახებ; შემდეგ პალატამ გადასწყვიტა კრება შევწყვიტოთ $^{13}/_{25}$ აპრილამდეო. სენატის კრებაც $^{13}/_{25}$ აპრილამდე გადაიდო.

**სოფია.** დღეს დილით პრინცი ფერდინანდი დიდის ამალით ვენას გაემგზავრა. თვის მოადგილედ დაბრუნებამდის დანიშნა საერო განათლების მინისტრი ჟივკოვი.

**ვენა.** გალიციის ქურთების სათემოში 4 გახდა კიდევ ავად ხოლერით.

**ლონდონი.** პალატის დღევანდელ კრებაზედ გლადსტონმა სთქვა, ირლანდიის ავტონომიის ბილლი მეორედ წავიკითხოთ; ოპოზიცია უნდა დაეკითხოს თავის თავს სად, როდის და რითი გათავდება ჩვენი უთანხმოებაო; შვიდის წლის საქმის შესწავლით დავრწმუნდი, რომ მხოლოდ Homerule-ს შეუძლიან ამის გარდაწყვეტა; ირლანდიის საქმე როგორც წყევლა, ისე აწევს თავს ბრიტანიის პარლამენტს დ ეს აფერხებს პროგერსს. ბილლის აზრი—დაკმაყოფილებაა. საფინანსო ნაწილი შეიძლება მერეც განვიხილოთ და შევცვალოთო. გიკსბიჩი ამბობს, ბილლი უარ-ვყოთ, ირლანდიელები ბილლს მაინც ისე მიიღებენ, ვითომც ვალის მცირე ნაწილი გარდავუხადეთო, რადგანაც უფრო ადვილად მიეცემათ შემთხვევა თავიანთ სუვილის აღსრულებისაო. პალატის კრება გადაიდო.

**ვენა.** დღეს დილით მოვიდა ფერდინანდ კობურგელი; თან ახლავან: მინისტრები სტამბულოვი და გრეკოვი, საერო კრების პრეზინდენტი პეტროვი და სამხედრო დეპუტაცია გენერალ ნიკოლაევის მეთაურობით. პრინცი აქ რამდენსამე ხანს დარჩება და შემდეგ გაემგზავრება ამალით პიანორს, სადაც ქორწინება იქნება.

პეტერბურგის ბირჟა, 19 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,60 | 7,63 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 152 | 153 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 240¾ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 220 |
| 4% მესამე სესხისა. . | 99³/₉ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 101⅛ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . . | — „ | 102 | — „ |
| 5%. . . . . . | 100 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — „ | 102 | — „ |
| 5%. . . . . . | 100 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99½ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც


# განცხადებანი

**ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობისა.** ვისაცა სურს კარგის თვისების შეშა მიჰყიდოს რკინის გზის გამგეობას, შეუძლიანთ 15 მაისამდე გამოგზავნონ თავიანთი ადრესები ამ რიგად: Начальнику Матеріальной Службы. Тифлисъ, Михайловская ул. д. Эминова. ადრესების მიღების შემდეგ მსურველთ ეცნობებათ, რა პირობით შეიძლება მათგან შეშის ყიდვა. 3—1

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—35)

**ამ დღესასწაულებისათვის**

ისყიდება საუკეთესო ღ ვ ი ნ ო ე ბ ი კნ. ი. გ. ჭავჭავაძისა და სხვა კახეთის მემამულეებისა. ვედრო 1 მ. 80კ-დგან ვიდრე 10 მ-დინ, ბოთლი 12 კ. ვიდრე 1 მ-დე,

ჰადვალი იმყოფება შუა ბაზრის თავში, წინამძღვრიშვილის სახლში.

(1—2) ს. თ. კურდღელოვი

## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—11) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

„ურბენი“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს კვდიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზანებათ.

(20—7)

## სააღდგომო მისალოცად!

„ქართველთა ამხანაგობის“ გამოცემანი

**აკაკი წერეთლის**

თხზულებანი

**ტომი I ლექსები**

ლამაზ ყდით 2 მ. 50 კ.

**ალ. ყაზბეგის**

თხზულებანი

ტ. I ლამაზ. ყდით 2 მ. 50 კ. უყდო 1 მ. 20 კ.
„ II „ „ 2 მ. 50 კ. უყდო 1 მ. 20 კ.
„ III „ „ 2 მ. 50 კ. უყდო 1 მ. 20 კ.
„ IV „ „ 2 მ. 50 კ. უყდო 1 მ. 20 კ.

თხზულებანი

**ი. დავითაშვილისა**

ლამაზი ყდით 1 მ. 25 კ.

**ილია ჭავჭავაძის**

თხზულებანი

ტ. I ლექს. და პოემ. 1 მ. 20 კ.
„ II მოთხრობანი, ლამაზი ყდით . . . 2 მ. 50 კ.
იგივე უყდო . . 1 მ. —
ტ. IV „ი ზ ა“ თარგმანი ლამაზ ყდ. 3 მ. —

**„ბ ნ ე ლ ი“**

მოთხრობა „მელანიასი“
ლამაზ ყდით . „ „ 90 კ.

**„ზ ღ ა პ რ ე ბ ი“**

**I**

ლამაზ ყდით . . . . . „ „ 75 კ.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა **ილ. ჭავჭავაძის** თხზ. მე-III ტომი, რომელშიაც სხვათა შორის დაბეჭდილია ოთარაანთ ქვრივი. (3—3)


Доз. ценз. Тифлисъ, 27-го Марта 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.